

ବୋଲ୍ଡାର୍

№10, 2016



ზოია ვაშაკიძე

სუსტანს



პირი მზის და პირი მთვარის,
პირი ვარდის.. ზამბახისა.

აკვნის მტრედი, სიხარული
ამ ცისა და ამ ბალისა.

ჩვილი ნერგი, თოთო ყლორტი,
იის სუნთქვა და სურნელი...

ქვეყნის ხვალინდელი დილა,
მომავალი სასურველი.

დედის გული, მამის ძალა,
სასოება... სანუკვარი,

ღმერთო, ისეთი გაზარდე,
დააჩინოს მამულს კვალი.


ლია კოგალაძე

ხუსრო ნახეთ. რთ გური რაგვიგე

ხშირად მიწყრება ბებია,
ნუ ხარო, შარახვეტია,
რა მეტისმეტად გაქსუვდი,
რა თავი აგიწყვეტია?
მამა ონავარს მეძახის,
მტუქსავს: – რად გახდი კერპიო,
არც დედა მაკლებს საყვედურს, –
მაშ, არ ხარ გასაწყეპლიო?



მხოლოდ ბაბუა არა მთვლის
უსაქმურ ნაცარქექიად, –
რა საქმე გაუჭირვეთო,
ბავშვი ბავშვურად ცელქია.
შლეგია, მაგრამ ნერგია, –
ადვილი მოსადრეკია,
ხვალ ნახეთ, რა კაცი დადგეს,
დღეს მართლაც ჩიტირეკია!..



კვირალენე

მარიამ ციკლაური

ქალაქს ბევრი ქუჩა და გზაჯვარედინი ჰქონდა, მაგრამ ელენესა და სანდროს ყველაზე მეტად ის ქუჩა უყვარდათ, რომლითაც თავიანთი სახლიდან ზოოპარკში მიდიოდნენ ხოლმე. მათი სახლის აივნიდან ზოოპარკი მოჩანდა კიდეც. ქალაქში იყო კინოთეატრებიც, ატრაქციონებიც, ტბაც. ბავშვებს კი ცხოველებთან სტუმრობა ყველაფერს ერჩივნათ. სულ კვირის დადგომას ელოდნენ. შაბათს მოამზადებდნენ გაკვეთილებს და მთელ კვირადღეს ზოოპარკში ატარებდნენ. სხვა დღეებსაც სიამოვნებით გაატარებდნენ აქ, მაგრამ სად ეცალათ? ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს, სკოლის შემდეგ ჭადრაკი, ინგლისური და ცეკვა ჰქონდათ. ხოლო ხუთშაბათს, პარასკევსა და შაბათს ყველაფერი ხელახლა მეორდებოდა. მეგობრების დაბადების დღეებზეც ხომ უნდა ევლოთ, ახალი ფილმიც ხომ უნდა ეწახათ? საქმეს რა დალევდა, ამიტომაც კვირა ყველაზე საყვარელი დღე იყო ბავშვებისთვის.

ზოოპარკში უამრავი მეგობარი ჰყავდათ. აქეთ – მგელიო, იქით – თეთრი თუ მურა დათვები. ცოტა მოშორებით სპილო ცხოვრობდა. სელაპი და ბეჭემოთიც მათი მეგობრები იყვნენ. მაიმუნები, ყანჩები, აქლემები... სულმოუთქმელად ელოდნენ პატარების გამოჩენას. ზებრა, უირაფი, ფარშავანგი – ყველა აქ იყო.

ბავშვებს სახლიდან ზოოპარკამდე ორი ქუჩის გადაჭრა უნევდათ. იქვე შუქნიშანი იდგა – ელენემ და ანდრიამ კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ მწვანე ფერის ანთებისას შეიძლებოდა ქუჩის გადაკვეთა. მერე ერთ მიწისქვეშა გადასასვლელსაც გაივლიდნენ და უკვე ზოოპარკის შესასვლელიც მოჩანდა. ხმაურით დაქროდნენ ქუჩაში მანქანები და ავტობუსები, ზოოპარკში კი სიმშვიდე იყო. ეზოში ბევრი ხე იდგა და მხოლოდ ვოლერებიდან და გალიებიდან ისმოდა ცხოველების ათასნაირი ხმა.

ზოოპარკის ეზოში, ერთ მაღალ ხეზე, ციკლებს ჰქონდათ ფულურო. ბავშვებმა ამ ცი-

კვებს სახელებიც დაარქვეს: ბობო და ბუბა. ოღონდ ვერ არჩევდნენ, რომელი ბობო იყო და რომელი ბუბა. ამიტომაც ასე ეძახდნენ – ბობო-ბუბა.

შინ მისასვლელად ციკლებს არც კიბე სჭირდებოდათ და არც ლიფტი. მთელი დღე ზევით-ქვევით დარბოდნენ. ხან გირჩებს აგროვებდნენ, ხან თამაშობდნენ, ხან სხვა ხეებზე და სხვა ფულუროებიც დაგვრებოდნენ და საზამთროდ საკვებს იმარაგებდნენ. ციკლებთან დამეგობრებულ ელენეს და სანდროს ზოოპარკში წამოსვლის წინ ბებია პატარა ჩანთით ატანდა ხოლმე ხორბლისა და სიმინდის მარცვლებს, ცოტა თხილს, ცოტა კაკალს, რამდენიმე პატარა ვაშლს და ასე გზავნიდა შვილიშვილებს სასეირნოდ. ბავშვებმა იცოდნენ, რომ მეგობრებს ძალიან ახარებდა მათი მორთმეული საჩუქრები. ჰოდა, უნაწილებდნენ: სპილოს ვაშლი ერგებოდა ხოლმე, ციკლებს – კაკალი, ხორბალი – ფრინველებს.

ერთხელ ბობო-ბუბა მთელი კვირადღე ელოდებოდნენ ბავშვების გამოჩენას, მაგრამ ისინი იგვიანებდნენ. ციკლებმა გადაწყვიტეს, მოდი, ჩვენ ვესტუმროთ ელენეს და სანდროს სახლშიო. რა იცოდნენ, რომ ბავშვები იმ კვირადღეს სკოლიდან ექსკურსიაზე, მუზეუმში წაიყვანეს.

ჰოდა, გადასტნენ ხიდან ხეზე, მერე კიდევ ხეზე და პირდაპირ ქუჩაში ამოყვეს თავი.

– რამდენ ცხოველს უცხოვრია აქ! – წამოინრიპინა გაოცებულმა ბობოციკვემა და მანქანებს დაუწყო ყურება.

– შეხედე, შეხედე, რამხელა ცხოველია! ხომ არ გადაგვყლაპავს? მგონი, ვერ დაგვინახა, გადავრჩით, – ახლა შეშინებულმა ბუბაციკვემა დაინრიპინა.

ეს დიდი „ცხოველი“ ავტობუსი იყო. ციკლებს ეგონათ, დიდი ცხოველი პატარებს მისდევდა ჩასაყლაპად.

– ალბათ, არ შიოდა. ხედავ, რამდენი ადამიანი გადაუყლაპავს უკვე? – ამბობდა გაოგნებული ბუბაციკვემი და ავტობუსში მსხდომ

მგზავრებს უყურებდა – ზოგი სკამზე იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა.

– ხედავ, რა ყოჩალია ის კაცი აი, ამოხტა კიდეც ამ გოლიათი ცხოველის მუცლიდან. ალბათ, გმირთაგმირია! – თქვა ბობომ და ერთ მგზავრს გააყოლა თვალი, რომელიც, ის-ის იყო, ავტობუსიდან ჩამოვიდა და ტროტუარს გაუყვა.

გაოცებულმა ციყვებმა ისიც შეამჩნიეს, რომ ზოგიერთი ადამიანი მიწაში, დაბლა ჩადიოდა. რა იცოდნენ, რომ მიწისქვეშ მეტრო იყო და მატარებელს მგზავრები უფრო სწრაფად გადაყავდა, ვიდრე ამ მანქანებსა და ავტობუსებს?

ბევრი იხტუნეს ხან ხეებზე, ხან ბუჩქებზე, მაგრამ ელენესა და სანდროს სახლს ვერ მიაგნეს. ვერც უკან, ზოოპარკისკენ დაბრუნდნენ... ამდენი მორბენალი მხეცისა და ხმაურისაგან თავგზა აებნათ. ალარც მაღალი ხე ჩანდა ირგვლივ, ალარც დაბალი. ადამიანებს ყველა ხე გადაებელათ ან მოეჭრათ. ციყვებმა ალარ იცოდნენ, საით წასულიყვნენ და უცემენთი უცნაური ხე დაინახეს. იფიქრეს გვეშველაო. ხეს, მართალია, ფოთლები და ტოტები არ ჰქონდა, მაგრამ ხან ყვითლად ანათებდა, ხან წითლად, ხან მწვანედ. ბევრი ალარც უფიქრიათ, უცემ შეხტნენ და ხეს კენწეროში მოექცნენ. იმის გაფიქრება კი მოასწრეს, ალბათ, ამ ხეს რკოც ფერადი ექნებაო

და დაიწყეს გაყოფა-განაწილება: – მოდი, მე წითელ რკოებს დავიტოვებ, შენ მწვანე რკოები შეაგროვე, ყვითელი რკოები კი ჩვენ მეგობრებს ვაჩუქოთო, – წრიპინებდა ბობოციყვი. ბუბაციყვი კი ფიქრობდა, როგორ მოეკრიფა ეს დიდრონი ფერადი ნაყოფი, რომ უეცრად ქუჩაში ყველა მორბენალი მხეცი გაჩერდა. ატყდა ჩოჩქოლი. მალე მათ ხეს ერთი უცნაური მხეცი მოადგა, უირაფივით მაღალი კისერი კიდევ უფრო დაიგრძელა და ციყვებს მიუახლოვდა. თურმე ეს უირაფი კი არა, ამწე ყოფილა და ზედ პოლიციელი მდგარა: ელენესა და სანდროს, რომლებიც ექსკურსიიდან ბრუნდებოდნენ, შეუმჩნევიათ შუქნიშანზე ასული ორი ციყვი, უცნიათ თავიანთი მეგობრები ბობო-ბუბა და ბებიასთვის უთხოვიათ მათი შველა. ბებიასაც აუღია ტელეფონი, დაურეკავს პატრულში და ბავშვების თხოვნა გადაუცია. ახლა სწორედ პატრულის ამწეს შეეჩერებინა მოძრაობა ქუჩაში – შუქნიშანთან მისულს ციყვების ჩამოყვანა გადაუწყვეტია. დაბლა კი მომლოდინე ელენე და სანდრო ხტუნავდნენ. რა კარგია, რომ მეგობრებს დაეხმარნენ! რა იცოდნენ ბავშვებმა, რომ ციყვები სწორედ მათ სანახავად იყვნენ ნასულნი?

ელენე მადლობას უხდიდა პოლიციელს, სანდროც – თან ისე, რომ ბებიას სულ არ დასჭირვებია მათვის შეეხსენებინა, რომ კეთილი პოლიციელებისთვის მადლობა უნდა გადაეხადათ.

**მხატვარი
ლიკა გურგანიშვილი**



ՈՅՄՅՅ ԹԻ՛Ն ՃԿԹԲԱՐԻՌ ԱՄՅՅ



ოთოლი

გაზაფხულზე დაიბადა. პატარა, საყვარელი, პუტკუნა. ისეთი ლამაზი იყო. სალათისფერი კაბა ეცვა. გარს უამრავი და-ძმა ეხვია. მზის სხივები ეალერსებოდნენ. ნიავი უნანავებდა. ცხოვ-რობდა ასე – ბედნიერი და უდარდელი.

ზაფხულში კიდევ უფრო დამშვენდა. გაიზარდა. სალათისფერი კაბა გაიხადა და მუქი მწვანე ჩაიცვა. ცხოვრებით ტკბებოდა. შხაპუნა წვიმა პირს ბანდა. მზე ათბობდა. ქარში ცეკვავდა და მღეროდა. ხშირად სტუმრობდნენ ჭორიკანა ჩიტები და ახალ ამბებს უყვებოდნენ.

დადგა შემოდგომა. როგორ უხდებოდა ახალი წითელი კაბა. რა მშვენიერი იყო. თავმომწონედ იცქირებოდა ზემოდან.

შემდეგ აცივდა. ნიავი აღარ იყო სასიამოვნო. აღარც წვიმა ახარებდა. ჩიტებიც შემოეცალნენ. ერთ დღესაც მიმოიხედა და სულ მარტო იყო ხეზე. მისი და-ძმა ძირს ჩაცვენილიყვნენ. ფოთოლს შეეშინდა, აცახცახდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეეცადა, ხეზე გამაგრებულიყო. ერთი ორი დღე კიდეც გაძლო, მაგრამ ბოლოს ძლიერი ქარი მოერია – თავი ვეღარ შეიკავა, თვალები მაგრად დახუჭა და ბზრიალით წამოვიდა დაბლა.

უცებ პატარა გოგონამ მოირბინა. ფოთოლი აიღო და სხვა ფოთლების ფონაში ჩასვა. – რა ლამაზია! – გაიფიქრა მან.

მეორე დღეს ფოთოლი გოგონას ნახატში გაცოცხლდა...

მხატვარი
თამთა მარუკალაშვილი

სიღვანის ხევის

შეწყვიტეს ლალი ჭიკჭიკი,
სევდა დაეტყოთ ჩიტებს;
მზე ღრუბლებიდან გვილიმის,
კაეშანს ასე გვიმხელს.

აცივდა, სუსხმა იმატა,
შემოგვეჩვია წვიმა,
ოქროსფრად გადაიპენტა
ზურმუხტისფერი მიწა.

აღარც ბულბული უგალობს
თავის იდუმალ სატრფოს,
გაფრინდა თბილი ქვეყნისკენ,
იქ სამშობლოზე დარდობს.

ზეცა შემკრთალა სიცივით,
ოქროსფრად ყვავის მიწა,
– ეს შემოდგომა მოსულა –
მადლიანი და წმინდა.




ლალი ჯაფარაშვილი

ეროვნული შემოგვამა

უღრანს წითელ-ყვითელი,
ალაგ მწვანე ეცვა,
წყალში აჭრილ ლილისფრად
ცრიატებდა ზეცა,
გვერდებშემოკბეჩილი
კორდი იწვა გზის პირს
და უსმენდა მორჩილად
წეროების ყივ-ყივს...
ჯერ შორს იყო ზამთარი
სუსხიანი ქარით,
ტყეში შარიშურობდა
შემოდგომის დარი.

ემზადება საწნახელი –
ეყო მხარზე უქმად წოლა:
ზვარში გოდრით ჩადგა რთველი!
– წლის რა დროა? – შ.....





$$2 = \square + \square$$

$$4 = \triangle + \square$$

$$5 = \circ + \triangle$$

$$3 = \square + \circ$$

$$4 = \circ + \circ$$

გამოითვალე, რა ციფრს
აღნიშნავს თითოეული ფიგურა
და მიხვდები. რა ნომერზე რეკავს
გოგო.

სახავის ამოცანა

ყვავი კაკლის ხის ზევითა ტოტზე შემოჯდა და ერთ კაკალს
ჩაუნისკარტა. კაკალი გაუვარდა. იმ ტოტის ქვეშ, ერთიმეორის
მიყოლებით კიდევ სამი ტოტი იყო. ჩამოვარდნილმა კაკალმა
მეორე ტოტიდან ერთი კაკალი ჩამოაგდო. ყოველი ჩამოვარდნილი
კაკალი მის ქვემოთ, მომდევნი ტოტიდან კიდევ თითო კაკალს
აგდებდა.

სულ რამდენი კაკალი დაეცემოდა მიწაზე?

მხარეთის გული

ლილა ცუცქილიძე

დათვი და ჭირვალი



დათვი ხარშავს მურაბას –
ვაშლის, მსხლისას, უნაბის,
კოვზით უზის სუფრასთან
პანაწინა ფუტკარი.
– რა ვქნა, თაფლი მომცა და
უარი ვერ ვუთხარი.



თიკანი

– არ მოგწყინდა, თიკანო,
ეს ამდენი კიკინი?
არაო, თავს აქნევს და
თან კიკინებს: კი, კი, კი.

ფოტოგრაფი ჭისო

– ფოტოგრაფო ფისო,
სურათს უდებ ვისო?
– ჩემს მეგობარს, მორცხვად
სოროსთან რომ ზისო,
უკვე დიდი თაგვია,
გახდა ერთი წლისო.

მხატვარი
თვა მიქაია





ნაქარგი ილუსტრაცია ეკუთვნის
ავტორს

მზია მექანიკა ვილი

მარმარილი ხიფები

ერთხელ პატარა გიგა თავდასისხლიანებულ ოფოფს წანყდა. საწყალი მოლზე იწვა და უიმედოდ იყურებოდა ოდნავ გახელილი თვალებით. კეთილმა ბიჭმა მომაკვდავი ფრინველი სახლში წაიყვანა, ჭრილობაზე მაღამო დაადო და რბილ საფენზე დააწვინა.

მეორე დღეს ოფოფი მოცოცხლდა, წამოდგა და გრძელი, წვრილი ნისკარტით ხორბლის მარცვლებიც აკენკა, რამდენიმე დღის შემდეგ კი შავ-თეთრზოლებიანი ფრთები დაიქნია, ფანჯრიდან გაფრინდა და ეზოში ხეზე შემოჯდა; თითქოს კეკლუცობსო, ყელი მოილერა და ლამაზი ქოჩორი გაშალა. უცებ ორი ჩიტი მოფრინდა, ოფოფს შემოუსხდნენ და უივუივით გამოიკითხეს მისი ამბავი. ნელ-ნელა იქაურობა ფრინველებით აივსო.

— მიხარია, მეზობლად ასეთი კარგი ბიჭი რომ გვყავს! — თქვა ერთმა.

— ნეტავ, რამდენი წლისაა? — დაინტერესდა მეორე.

— ხვალ ხუთი წლისა ვხდები, — აჭიკჭიკ-და გიგაც.

— ყოჩალ, ჩვენი ენა გცოდნია! — გაოცდნენ ჩიტები.

— თუ დამეხმარებით, უკეთესად ვისწავლი!

— დაგეხმარებით! დაგეხმარებით! — აუკუვდნენ ფრთოსნები.

— მადლობელი ვიქნები! — გაუხარდა ბიჭს.

მეორე დღეს, რიურაუზე, ჩიტები უჩვეულოდ აფუსტუს დნენ. გიგას სახლისაკენ გაემართნენ და აივანი ყვავილებით მორთეს, მაგიდაზე კი ლამაზად დააწყვეს მაყვალი, შინდი, თხილი, წაბლი... საქმე რომ მოათავეს, მოაჯირზე ჩამომწკრივდნენ. მალე ახალგაღვიძებული იუბილარიც გამოჩნდა. გაოცებულმა მიმოიხედა, თავი სიზმარში ეგონა, ჩიტუნებმა კი მილოცვის სიმღერა ჩააჭიკჭიკეს. გიგას მშობლებმა ტკბილეული გამოიტანეს. ბიჭუნამ ტორტზე ანთებული სანთელი სულის ერთი შებერვით ჩააქრო.



მხატვარი
მალხაზ კუსაშვილი

— ყოჩალ! ყოჩალ! — შემოსძახეს ჩიტებმა. გიგას დედამ ტორტი დაჭრა და ყველას ჩა-მოურიგა.

— რა გემრიელია!

— ასეთი გემრიელი არაფერი გვიჭამია! — იძახდნენ ჩიჩახვგაბერილი ფრთოსნები...

იუივუივეს, ირუკრუკეს, იჭიკიკეს, იგა-ლობეს და დამშვიდობების დროც დად-

გა. გიგა დაპირდა, რომ ამ ამბავს ყველას უამბობდა და ონავარ ბიჭებსაც სთხოვდა, ფრინველებისათვის შურდული აღარასო-დეს ესროლათ — იმედი მაქვს, დამიჯერე-ბენ და ისინიც დაგიმეგობრდებიანო.

— იმედი გვაქვს, ასე იქნება! — ჩაიჭიკი-კეს ჩიტებმა, მასპინძლებს დაემშვიდობნენ, ფრთა ფრთას შემოჰკრეს და გაფრინდნენ.



თავსატესი

რომელი ქალაქია?

დაწერე ოთხი სიტყვა: რაფა, ძორი, შარი, გირი. თითოეულ სიტყვაში შეცვალე თითო ასო, ისე, რომ მიღო სხვა სიტყვა, ხოლო შეცვლილი ოთხი ასოსგან წაიკითხო საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის სახელწოდება.


--	--	--	--



ეგვიპტის ისტორია


1

ძლიერ ჰეგავდნენ ერთმანეთს
ცმაცუნა და ბაჭია,
ერთი იყო ზარმაცი
და მეორე პრანჭია.



2

ერთხელ დილით ზარმაცი
გააღვიძა რადიომ,
და ძმას უთხრა: – ჩემს ნაცვლად
სკოლაში შენ ნადიო.



4

მაგრამ როცა დაფასთან
ხან „დასცხა“, ხან „სციოდა“,
პასუხს ვერ ახერხებდა
და ცრემლები სცვიოდა.

მხატვარი
ანდრო კანდალაკი




3

დაეთანხმა ბაჭია
თავი მაღლა ასწია,
გადაიცვა ძმის ფორმა
და სკოლისკენ გასწია.



5

შინ მისვლისას ძმას უთხრა:
– ზარმაცი ხარ ნამდვილი,
მასწავლებლის შეცდენა,
არ ყოფილა ადვილი!



გულდიღი ირავაზოზო

თბილისში ჭრელფრთიანი შემოდგომა იდგა. სამსახურის შემდეგ სახლში ფეხით წასვლა გადავწყვიტე და ჩვენს აღმართ-დაღმართიან ქუჩებს გავუყევი, როცა ცოტათი დავიღალუ, სკვერში ჩამოვჯექი. თვალი გაზონებისკენ გამექცა, რომლებიც ისეთი ლამაზი ყვავილებით მოერთოთ, რომ მათ სიმშვენიერეს მოჯადოებულივით შევაცქერდი. მოულოდნელად ჩემ წინ მძიმე ნაბიჯით მიმავალი ირემახაჭო შევნიშნე. თითოეულ ნაბიჯს დინჯად დგამდა და ლამაზრქებიან თავს აქეთ-იქით აქნევდა. მომეჩვენა, თითქოს ოხრავდა და ბოხი ხმით რაღაცას ბუტბუტებდა. გავოცდი, ხოჭოს ლაპარაკის გაგონება შეუძლებელია-მეთქი და გავიფიქრე, რომ მომეყურა. მზერა მაინც არ მომიშორებია. ირემახოჭომ სკამს ჩაუარა და იქვე ყვავილებში შეძვრა.

— მოვედი, მოვედი, — ჩაუბამბამა მწერმა.

ახლა კი მივხვდი, რომ მისი ხმა ნამდვილად არ მომჩვენებია — ახალა უკვე მკაფიოდ მესმოდა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იმ ადგილას სხვადასხვა ჯიშის უამრავი ხოჭო შევნიშე. მათ ამქარში რანაირ სახეობას არ ნახავდით: ფუნაგორიასა თუ ჭიამაიას, ხარაბუზას თუ მუზეუმის ხოჭოს, მჭექარასა თუ ფოთლიჭამიას, ბზუალასა თუ ქერიჭამიას, უბრალო რწყილსა თუ მემარცვლიას... ყველანი სხვადასხვანაირები იყვნენ, მაგრამ მათ ერთი სახელი — ხოჭო აერთიანებდა.

თავყრილობა დამშვიდდა, მათ მუზეუმის ხოჭო გამოეყო:

— ხოჭოთ მეფევ! — თავი მოიდრიკა. — ჩვენი საძმო იმიტომ შევკრიბეთ, რომ ცუდი ამბავი უნდა გამცნოთ, შემდეგ თქვენი გადაწყვეტილებაც გვითხარით, დიდო ირემავ!

— გისმენ, ბრძენო მუზეუმა, — ამოირობრობა ირემახოჭომ.

— დღეს დილით წიგნსაცავში ვიყავი და უცებ ჩვენი დაუძინებელი მტერი, ხვლიკი ბოხმეჭა გამომეცხადა. კბილის გაკვრა მომინდომა, მაგრამ დავუძვერი. ბევრი მდია, ბოლოს კუთხეში მიმიმწყვდია და თქვენთან ეს ბარათი გამომატანა, — მუზეუმამ ფრთის ქვევიდან ქალალდის პატარა გრაგნილი ამოილო და ირემას გაუწოდა.

ჩემ პატარა მკითხველო, მიუხედავად იმისა, რომ შინ მეჩქარებოდა, ხოჭოთა თავყრილობას ვეღარ მოვწყდი, მინდოდა ყველაფერი ჩემი თვალით მენახა და შემდეგ თქვენთვის მომეთხორო.

ჰოდა, ხოჭოთა მეფემ უსტარი გაშალა, ერთი ჩაახველა და საძმოს გასაგონად კითხვას შეუდგა:

— ირემახოჭოვ! ამ წერილს მე, თქვენი მოდგმის მსანსლავი ბოხმეჭა, გწერთ. თუ გსურთ, სახოჭოეთი მთლიანად არ გავაცამტვერო და გადარჩეთ, დღეიდან სადილზე თითო ხოჭო შემომწირეთ, რათა შევახრამუნო და შიმშილით აქოთქოთებული მუცელი დავიწყნარო. პასუხი მაგ თქვენმა ბრძენმა მუზეუმის ხოჭომ შემატყობინოს! — ირემამ კითხვა დაამთავრა და ხოჭოთა ამქარს გადახედა.

— ჩემო საძმოვ, მე, როგორც ხოჭოთ მეფე, ბოხმეჭას ომს ვუცხადებ! — დასჭექა შეკრებილებს. — ვისაც სურვილი გაქვთ, რომ ჩვენი ღირსება დაიცვათ და მხარში ამომიდგეთ, ჩემკენ მოიწიეთ, ბრძოლის სტრატეგია შევიმუშაოთ.

— აქაურობას გავეცლები და ჩემიანებსაც თან გავიყოლებ, ბოხმეჭა ვერ მოგვაგნებს, — კარტოფილის ხოჭო თავყრილობას გამოე-

ყო და უკან გაბაჯბაჯდა. ფოთლიჭამიები და ქერქიჭამიებიც განერიდნენ იქაურობას. საძმოს დანარჩენმა წევრებმა მხდალებს თავსიცილი დააყარეს და ხოჭოთ მეფესთან მიჩოჩდნენ.


ამქარში ყველაზე მეომარი მჭექარა ხოჭო გახლდათ. ზომით პატარა იყო, მაგრამ ისეთ იარაღს ფლობდა, როგორიც იქ მყოფთაგან არავის ჰქონდა და იცით, რა იყო ეს? მას შეეძლო უკანა ბოლოდან გამოეფრქვია სითხე, რომელიც ჰაერთან შეხებისას ბომბივით ფეთქდებოდა და საშინელ, უსიამოვნო სუნს გამოსცემდა.

— აბა, სარდალო მჭექარავ, რას იტყვი?! — იკითხა ხოჭოთ მეფემ.

— დიდო ირემავ, ბრძოლის ველზე კბილებამდე შეიარაღებულ ას მჭექარას გამოვიყვან, ყვავილებში ჩავმალავ და მტრის გამოჩენისას საკადრის პასუხს გავცემთ. იქამდე რწყილთა ასეული ბოხმეჭას ცხვირ-პირზე შეესევა, მწარედ დაკბენენ. ამ დროს ფუნაგორიათა მეზარბაზნები ფუნის ბომბებს დაუშენენ. ჩვენს მეგობარ ფუტკრებთან ჭიამაია ვაფრინე, რათა მათი ესკადრილია მტერს ჰაერიდან დაესხას და ერთი გემრიელად დანესტროს, ამასობაში ჩემი რაზმიც წამოეშველებათ. ამხელა შეტევას ერთი ბოხმეჭა კი არა, ასიც ვერ გაუძლებს.

— ყოჩალ, სარდალო, შენ ლირსეული მეომარი ხარ, მე შენით ვამაყობ! — ირემამ სარდალი შეაქო. გრაგნილი გაშალა, უკანა მხარეს რაღაც წააწერა და მუზეუმას გაუწოდა.

— ბრძენო, წაუღე ეს უსტარი ბოხმეჭას და



უთხარი, პირველი მსხვერპლი თავად ირემა-ხოჭო იქნებათქო!

— ხოჭოთ მეფევ, თქვენ რომ რამე მოგივი-დეთ, ჩვენ ვინდა მოგვხედავს? — შეშინებულმა იკითხა მუზეუმამ.

— ბრძენო, ჩემი საძმოსთვის სიკვდილი მეა-მაყება და სულაც არ მაშინებს. თუ მტერს არ შევებრძოლეთ, რაღა ხოჭოები ვართ?! გავიკე-თოთ პეპლის ფრთები და სახოჭოეთი შევარცხ-ვინოთ! — ჩაიროხროხა ირემამ.

მუზეუმის ხოჭომ გრაგნილი აიღო და ბოხ-მეჭასთან შესახვედრად გაეშურა. მეომარმა რაზმებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს. ირემახოჭო თითქოს მარტო დარჩა, გამოსაჩენ ადგილას განთავსდა და მტერს დაუწყო ლოდინი.

ბავშვებო, იქაურობას მეც გაფაციცებით მი-ვჩერებოდი, ძალიან მაინტერესებდა, ხოჭოთა ჯარი ბოხმეჭას რას უზამდა. დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია — რამდენიმე წუთში ირემახოჭოს-თან ხვლიკი მოსლიკინდა და ის იყო, კბილი უნდა გაეკრა, რომ უამრავი რწყილი შეესია. კბენდნენ და კბენდნენ დაბნეულ მტერს. ესეც არ აკმარეს და უცებ ბოხმეჭას ფუნის ბომბები დაეყარა თავს, ცოტათი დარეტიანდა კიდეც. სად იყო და სად არა, ცაში მეომარი ფუტკრების ესკადრილია გა-მოზუზუნდა, დარეტიანებული მტერი ისე დანეს-ტრეს, რომ მთლად გასივდა, ბოლოს მჭექარების ასეული ამუშავდა და გასავათებულ ბოხმეჭას ისეთი აფეთქებები მოუწყვეს, რომ სიქა გააცა-ლეს — უკვე გაუნძრევლად ეგდო. შემანუხებელ-მა ცუდმა სუნმა ჩემამდეც მოალწია, მაგრამ ბრ-ძოლის ველს თვალს ვერ ვამორებდი, მაინტერე-სებდა, ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა.

ხოჭოთ მეფემ მტრის თავი რქებში მოიქცია:

— რა გიყო, ბოხმეჭ, ეგ თავი გადაგიკვნიტო თუ შეგვეშვები?! — ძალიან მკაცრად წაუროხროხა.

— მაპატიეთ, მაპატიეთ, — ძლივს გასაგონად, საცოდავად წრიპინებდა ქვეწარმავალი.

ასე დამთავრდა ომი ხოჭოთა გამარჯვებით და ჩემოპატარა მეგობრებო, იცით, რა გამახსენ-და: ძალის ერთობას წინ ვერაფერი აღუდგება.

ახლა სახლის გზას გავუყვები, თქვენ უკვე იცით, რაც მოხდა, მაგრამ ამ ამბავს ჩემს ნოდა-რიკოსაც ხომ უნდა მოვუყვე?!



მარიამ ონიანი, 7 წლის



პატარა მარიამი იუბილარია.
ჟურნალი „დილა“ დაბადების
დღეს ულოცავს და
წარმატებებს უსურვებს.



ნინო ქოძოსაძე

ურარტული

გათვლა

რა ფერია ვარ-დი?
წი-თე-ლი.
შენ გავარდი
პირ-ვე-ლი.

მანდარინი?
ნა-რინ-ჯი.
შენც მიჰყევი
ნა-ბი-ჯით.

ახლა ცისარ-ტყელა-ზე
ყვითე-ლია ფე-რი.
დადგა შენი ჯე-რი.

მერე მოდის
მწვა-ნე.
შენც გადიხარ მა-ლე!

ცის-ფერია ზე-ცა.
ახლა გადის ე-სა!

ლურჯი არის ზღვა.
ვინ-ლა დარ-ჩა სხვა?



იის-ნფე-რი მე-ლა-ნი.
ვი-მა-ლე-ბით
ყვე-ლა-ნი.

დაიხუჭე შენ!


კულა-კულა

მსატვარი
კესო ფრაგიშვილი

აბგანი



ლეიტონ კონვენიენ 3 ვებ განვითარების სახელმწიფო უნივერსიტეტი



ჩასვი გამოტოვებულ უჯრებში ციფრები ან
მოქმედების ნიშნები ისე, რომ ბოლოს ორივე
სვეტში მიიღო 10.


სახაფისო მათემატიკა



ფანქჰები

თუმც ფანქები ერთად ჰქონდათ
მზიას, დიტოს, გელას,
მაგრამ განა თანატოლად, -
მეტ-ნაკლები ყველას!
მაგრამ მზია თუ ერთ ფანქარს
მისცემს მის ძმას - დიტოს,
მაშინ ზუსტად თანატოლი
გაუხდება თითოს.
ამოცანის პირობები
ხომ გაიგე,
ჰოდა -
აბა, მიხვდი: ცხრა ფანქარში
ვის რამდენი ჰქონდა?!

მხატვარი
თამთა მამუკალაშვილი



ცუცუ მამუკაშვილი

უკაოლოებები

რა ფერების ციმციმია
ჩვენს ბალში თუ ბალჩაში,
ყველა გარეთ გამოსულა,
ალარავინ დარჩა შინ.
გვიღიმიან: ვაშლი, მსხალი,
ატამი და ყურძენი...
შემოდგომა დავხატე და
სიმღერებიც ვუძღვენი.
წითელ-ყვითელ-ნარინჯისფერს
ვერაფრით ვერ ველევით.
მზემ მოხვია დედამიწას
თავის თბილი ხელები.

გელეაზნონი ფრინველები

შენ იცი, რომ ბევრი ფრინველი გამოსაზამთრებლად თბილ ქვეყნებში მი-ფრინავს.

საოცარი სანახავია გაზაფხულის ან შემოდგომის გადაფრენისას ცაში სოლისებურად მოძრავი ფრინველთა გუნდი: როგორც წესი, ასეთი ფორმით დიდი ზომის ფრინველები – წერო, ყანჩა, გარეული ბატი, გარეული იხვი და გედი მოგზაურობენ. შორ ქვეყნებში მიემგზავრებიან: მერცხალი, მწყერი, გუგული, ბუღბული, ტოროლა...

ადრეული გაზაფხულიდან ისინი თავის მშობლიურ მხარეებს უბრუნდებიან გასამრავლებლად – ბარტყების გამოსაჩეკად. იწყებენ მიტოვებული ბუდეების აღდგენას, ზოგიც ახლის მშენებლობას, დე-ბენ კვერცხებს, ჩეკენ ბარტყებს, შემოდგომაზე კი ისევ თბილი ქვეყ-ნებისკენ მიეშურებიან.



ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ცნობადი და პოპულარული გადამფრენი ფრინველი მერცხალია, ამიტომაც არის, რომ მისი გამოჩენა ცივი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის დადგომის ნიშანია. მერცხალს ერთგვარ სინოპტიკოსა-დაც მიიჩნევთ, მისი მიწასთან ახლოს ფრენა მოახლოე-ბულ წვიმას მოასწავებს.



ღური თაუ არა, რომ...



მწყერი ყველაზე პოპულარულია ნადირობის მოყვარულთა შორის. იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქართული ანდაზის პერსონაჟია: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, ანუ რაც შენი საქმე არ არის, ის არ უნდა აკეთოო.

ბულბული ყველაზე ტკბილად მგალობელი პანაწინა ჩიტია. განსაკუთრებული ნიჭის მქონე მომღერლებზე იტყვიან ხოლმე, ბულბულივით ხმა აქვსო.



გუგული ცნობილია თავისი სიზარმაცით: მას საკუთარი ბუდის აშენება ეზარება და სხვის ბუდეში დებს კვერცხებს. გამოჩეკის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, მისი ბარტყი უფრო დიდი და ძლიერია, ვიდრე ბუდის პატრონის ბარტყები, რის გამოც „მდგმურები“ დროთა განმავლობაში სათითაოდ ყრიან ბუდიდან და იქაურ-ბის ბატონ-პატრონი ხდებიან.



წერო სამხრეთ საქართველოში ოჯახის მფარველად და წმინდა ფრინველად მიიჩნევა, აკრძალულია მასზე ნადირობა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სახლის სახურავებსა და ელექტროგადამცემ ბოძებზე მათი უზარმაზარი ბუდის ნახვა.

ტოროლა მცირე ზომის მგალობელი ჩიტია. ითვლება, რომ ტოროლები ყველაზე ადრე იღვიძებენ და თავისი გალობით გარემოსაც აფხიზლებენ.



يٰ أَيُّهُمْنَ اتَّقُوا مِنْ نَارٍ

კონკრეტული დღის

* * *

არემარე როდესაც
თოვლში არის ჩაფლული,
წელიწადის ასეთ დროს
ეწოდება ზაფხული!

* * *

როცა ნუში ყვავილობს
და ჰაერიც გამთბარა,
სულ იოლად მიხვდებით
– შემოდგომა დამდგარა!


* * *

ისე ცხელა, სუყველას
გვენატრება ავდარი,
ივნის-ივლის-აგვისტოს
ერთად ჰქვია – ზამთარი!

* * *

გადაყვითლდა მთა-ბარი,
ქრისტ ცივი ქარები,
გაზაფხულმა სამი თვით
შემოალო კარები.

მხატვარი ნატალია კუცია



შარიალა

გემზე უფრო პატარაა,
ცურვა იცის წყნარი;
მას წამყვანის ხელი მართავს,
აქანავებს ქარი.

პირველ მარცვალს დაიხსომებ
გონიერი ბავშვი,
(დანარჩენი საცურაოდ
გადავუშვათ წყალში).

ცხენი კუდით დაატარებს,
ხშირად წნავენ მახედ,
წინა ასო მოფიქრებულს
სწრაფად მიუმატეთ...

გარეული ცხოველია,
დაბაჯბაჯებს ხვენეშით,
ბოლო ორი ასო გვინდა
(სხვა დატოვეთ ტყეში).

რაც დავწერეთ, შევაერთოთ,
ნუ ვიფიქრებთ დიდხანს,
საახალწლო სტუმარია,
ბავშვებს ძლიერ გვიყვარს.



გამოსანიშვნები

ხან ჭიაა რქებიანი,
ხან პეპელა ფრთებიანი!

ჭიხვინა და პანაწინა –
მუდამ დახტის დედის წინა!

ერთი რამე რკინისა
დარაჯია ბინისა!

*
ცივია და ტკბილი,
არ სჭირდდება კბილი!

*

სცემენ დაბლა, ხტება მაღლა,
მან არ იცის, რაა დაღლა!

*

წვეტიანი და თავბრტყელა
თავში ჩაქუჩის ურტყამს ყველა.

ოთარ სურგულაძე

გამოიწეხეთ უუჩნარი „რილა“

რათა ცხოვრება გაგიბრნებულდეთ, ვით ცისკრის დილა, ბავშვებო, გირჩევთ, რომ იკითხოთ უურნალი „დილა“, ყველა ნომერი ხელთ გეჭიროთ, როგორც სანთელი, დიახ, სიბნელის დამთრგუნველი და დღენათელი!



ხეთავეან
ცურაველი



ISSN 0132-5965



მთავარი რედაქტორი დოდო ნივნივაძე
ნახატი ყდაზე: ანნა კანდელაკისა

მის.: ზანდუუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი

უურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

